სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-02/222

,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 ნოემბრის №01-02/220 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 ნოემბრის №01-02/220 ბრძანების მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია ყოველთვიურად **თითო სტუდენტზე 500 ლარის** ოდენობით(მოიცავს 5 თვეს) შეიძლება დაენიშნოს ბსუ-ს სტუდენტს, რომელიც **აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:**

ა) არის ბსუ-ს საბაკალავრო ან მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ან დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **აქტიური სტატუსის მქონე** სტუდენტი (გარდა პირველი სასწავლო წლის და დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტისა);

ბ) **სტუდენტის სასწავლო ბარათის მიხედვით** სასწავლო კურსების შეფასებები - მიღებული ქულები, ,,საშუალო შეწონილი'' ფორმულით აქვს **91 ან მეტი;**

გ) გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).''.

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**